წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 09-17
30 07 2018წ.

გორი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" და ,,ო" ქვეპუნქტების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელის (24.07.2018. N940191) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (26.07.2018. N947527) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრი რეორგანიზებულ იქნეს სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრად;

2. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის დებულება დანართის შესაბამისად;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ივნისის N09-08 გადაწყვეტილება;

4. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

5. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 01 აგვისტოს;

6. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრი ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას.

2. ცენტრის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტების და პერსონალისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;

ბ) უნივერსიტეტში სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ფართოსპექტრის საქმიანობის განხორციელება და აღნიშნული საქმიანობის პოპულარიზაცია;

გ) სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პერსონალის შემოქმედებით და სპორტულ საქმიანობაში ჩართვაზე ზრუნვა მათი ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით.

დ) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თანამშრომლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად;

ე) სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტ-სპორტსმენთა მოზიდვა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათთვის ხელშეწყობა მსოფლიო და ქვეყნის მასშტაბით უნივერსიადებში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის სახელით;

ვ) სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მოწესრიგება;

ზ) მაღალკვალიფიციური სპორტსმენებისათვის სპონსორების მოძიება და მათთვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

თ) საჭირო კონტაქტების დამყარება საქმიანობის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით;

ი) უნივერსიტეტის სპორტული სექციების ხელმძღვანელობა;

კ) სტუდენტთა კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძიებების, კაფე–საღამოების, ექსკურსიების დაგეგმვა, ორგანიზება და კოორდინაცია;

ლ) კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძიებების ტექნიკური, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

მ) სტუდენტთა კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა, მომზადება და განხორციელება;

ნ) საწავლო სამეცნიერო დაწესებულებთან და სხვა კულტურულ–შემოქმედებით ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება და ერთობლივი ღონისძებების დაგეგმვა;

ო) კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თამშრომლებისათვის;

პ) დაგეგმილ კულტურულ–შემოქმედებით ღონისძიებებზე საზოგადოების უზრუნველყოფა მოსაწვევებით;

ჟ) სტუდენტებისათვის სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა;

რ) სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაწესებული სტიპენდიების შესახებ სტუდენტებისათვის ინფორამციის მიწოდება ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ს) სხვადასხვა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, მათი ინფორმირება და კონსულტირება;

ტ) სტუდენტებისათვის რეგულარული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებელი ტრენინგების შეთავაზება;

უ) სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სტუდენტური პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობა და კოორდინირება;

ფ) სტუდენტებისთვის საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება;

ქ) კოორდინირებული მუშაობა საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის, აგრეთვე სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურთან.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრის საქმიანობას უძღვება ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით.

2. ცენტრის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანმხებით სამსახურის უფროსის წარდგინებით.

3. ცენტრის შემდაგენლობაში შედიან: ცენტრის ხელმძღვანელი და უფროსი სპეციალისტი.

4. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს უფლება-მოვალეობების ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის დავალებებსა და მითითებებს;

გ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სამსახურის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

დ) გეგმავს, ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს ტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას;

*ე) გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს საერთამორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად;

ვ) ამზადებს სტუდენტებს სპორტული ღონისძიებებისთვის და ადგენს შესაბამის პროგრამას;

ზ) სხვა უნივერსიტეტებთან კონტაქტების დამყარების მიზნით უზრუნველყოფს ერთობლივი ღონისძებების დაგეგმვას საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმებით;

თ) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სპორტული სექციებს;

ი) თანამშრომლობს სტუდენტურ თვითმმართველობასთან, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შესაბამის ორგანიზაციებთან (სპორტის დეპარტამენტი,საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და ა. შ).

კ) უზრუნველყოფს ცენტრის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ლ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შიდამიმოწერის (მიმართვა, მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი) სრულყოფას საქმისწარმოების წესის მიხედვით ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში;

მ) წარადგენს ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ნ) ასრულების უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5. უფროსი სპეციალისტის ფუნქციებია:

ა) კოორდინირებული მუშობა საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან;

ბ) სტუდენტთა კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძიებების, კაფე–საღამოების, ექსკურსიების დაგეგმვა, ორგანიზება და კოორდინაცია;

გ) კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძიებების ტექნიკური, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

დ) სტუდენტთა კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა, მომზადება და განხორციელება;

ე) საწავლო სამეცნიერო დაწესებულებთან და სხვა კულტურულ–შემოქმედებით ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება და ერთობლივი ღონისძებების დაგეგმვა;

ვ) კულტურულ–შემოქმედებითი ღონისძებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებისათვის;

ზ) ურთიერთობა სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სტუდენტური გამოფენების, კონცერტების, სპორტული შეჯიბრებების, ინტელექტუალური თამაშების, ლიტერატურული საღამოების ჩატარებაში დახმარების უზრუნველყოფა;

თ) დაგეგმილ კულტურულ–შემოქმედებით ღონისძიებებზე საზოგადოების უზრუნველყოფა მოსაწვევებით;

ი) ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე;

კ) უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება.

6. ცენტრის სტრუქტურაში შედის სხვადასხვა მიმართულების მუსიკალური ანსამბლები და შემოქმედებითი ჯგუფები, რომელთა წევრების შემადგენლობა მტკიცდება და ნახლდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გრძანებით ცენტრის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.

7. მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (მუხლებიდან) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.